სახალხო გაზეთი

№ 812 პარასკევი, 1 თებერვალი 1913 წ. № 812

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სდამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ზრომი"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ოერი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ძართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საბიზვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეშე, ან ტფილისის გარეშისა ისევ ტფილისს გარეშისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევაში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადახდოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი სპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილოგით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელისმოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი: **ქვრივი მარიამ ბესარიონის ასული** და აზნ. **გიორგი კონსტანტინეს ძე ნანეიშვილები, კნეინა ანნა კონსტანტინეს ასული მიქელაძისა, ეკატერინა, ტატიანა** და **ნადეჟდა ბესარიონის ასულნი დავიდოვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა, რომ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და უძვირფასესი ქმარი, მეორისა და მესამისა—დაუვიწყარი ძმა და დანარჩენთა—მარად სახსოვარი სიძე, ნადვორნი სოვეტნიკი

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **ნანეიშვილი.**

ცხედარს გაიტანენ საკუთარი სახლიდან (მთაწმინდა, ვეძინის ქუჩა, № 22) შაბათს, დილით ქვაშვეთის ტაძარში და წირვის შემდეგ, გაასვენებენ და დაკრძალავენ კუკიის სასაფლაოზე. 85

თ-დი გიორგი დავითის ძე წერეთელი და კონა თამარ გიორგის ასული ამირაჯიბისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 ამა იანვარს დაბა საჩხერეში გარდაიცვალა პირველის—უძვირფასესი მეუღლე და მეორისა—საყვარელი დედა

კნ. სადიკო მელქისედეგის ასული **წერეთლისა.**

პანაშვიდები საჩხერეში, საკუთარ სახლში. ყოველ დღე, შუადღის 12 საათ. და სადამოს 5 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 2 თებერვალს, დილის 10 საათზე საჩხერის წმ. ნინოს ეკლესიაში. 86

კნ. მარიამ სარდიონის ასული წერეთლისა, იულია მელქისედეგის ასული კალატოზიშვილისა, ეკატერინა მელქისედეგის ასული ლორთქიფანიძისა და თ-დნი ირაკლი და იოსებ მელქისედეგის ძენი წერეთლები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 იანვარს გარდაიცვალა პირველისა—რძალი, ხოლო დანარჩენთა—ძვირფასი და

კნ. სადიკო მელქისედეგის ასული **წერეთლისა.**

დაკრძალვა იქნება შაბათს, 2 თებერვალს, **საჩხერის** წმ. ნინოს ეკლესიაში, დილის 10 საათზე. 88.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **თებერვლის 5-ს,** შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში

ფეხსაცმელების საწმენდ ადგილების იჯარით გასაცემად.

ასეთ ადგილების სიისა და საიჯარო პირობების განხილვა შეიძლება ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა. 1041

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 47.

კვირას, 3 თებერვალს, ქართ. დრამ. საზ. დას. მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ბარეტისა

ახალი მოძღვრება

დრ. 4 მოქმ. და 7 სურათად, თარგმ. კანდელაკისა.

მარკის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1040 რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელოგნის ძალაძის სახალხო სახლი

კვირას, 3 თებერვალს 1913 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ წარმოდგ. იქნება მესამედ დრამა

უმუშევარნი

4 მოქმ., ბელოსისა, თარგ. ლ. ცაგარლისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ-ნნი ნ. გოცირიძე, თვალჭრელიშვილი, ს. რომანიშვილი, გ. ფრონს-პირელი, ნ. ჭანკვატაძე და სხვანი. ბილეთების ფასი: 5 კ—დან 50 კ—მდე. დადგმული **ალ. წუწუნავას მიერ.** რეწისორ. თანაშემწე **ნ. ჭანკვატაძე.** ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმინისტრაცია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 8 თებერვალს „სიმახინჯე" ნ. შიუკაშვილისა. მზადდება წარმოსადგენად **ღალატი"** 1034.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელოგნის სახალხო სახლი

პარასკევს, 1 თებერვალს 1913 წ.

პირველი საჯარო სხდომა

ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა

კრების საგანი: განსვენებულ პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის საზოგადოებრივ-მეცნიერულ ღვაწლის გაცნობა.

სხდომის გეგმა: 1. თავმჯდომარის წინასწარი შენიშვნები. 2. მოხსენება დავით კასრაძისა: ალექსანდრე ხახანაშვილის ბიოგრაფია და მეცნიერული მოღვაწეობა. 3. მოხსენება ნიკოლოზ ჩიგოგიძისა: ა. ხახანაშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე. 4. მოხსენება გიორგი ყორდანისა: ა. ხახანაშვილი, როგორც ადამიანი და მასწავლებელი. 5. ლექსები ა. ხახანაშვილის შესახებ: ს. აბაშელისა, ბ. ალოსპირელი ა. ი. გრიშაშვილისა, ი. ევდოშვილისა, პ. ლეონავისა, ნ. მაღრაძისა, ნ. ჩხეიძისა, გ. ქუჩიშვილისა, თეურდოსპირელისა უკანასკნელ ლექსს წაიკითხავენ მაინიობი ქნი **ნ. დავითაშვილი.** დანარჩენ ლექსებს წაიკითხავენ თვით ავტორები. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 5 კ.-მდე. ბილეთები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში (ტურგენევის ქ., სახლი № 2, ბინა ყორდანიასი). სხდომის დღეს კი სახალხო სახლის კასაში დილის 10 საათიდან მთელი დღე. 5 იანვრისათვის აღებული ბილეთები 1 თებერვალსაც გამოდგება. 1039.

ახალი კლუბი

შაბათს, 2 თებერვალს,

საოჯახო საღამო.

თეატრის სცენაზე წარმოდგ. იქნება **„დემონი"**, ოპერა 4 მოქ. რუბენშტეინისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: მ. გ. მინკევიჩისა, ნ. ა. ჩიკოვსკისა და ისტომინისა; ბ-ნნი: ნინობარი, აგასოვი, ალავერდოვი, საბინი და მეროვი. დასაწყის სწორედ **საღ. 8 ს.**

შემოსავალი გადაიდება მე 4 ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

თეატრში შესვლა ხელმისაწვდომია. პარტერის ბილეთები 3 მ. 50 კ.—75 კ.-დე, ქანდარაზე 50 კ. 25 კ.-დე. **წარმოდგენის შემდეგ ცეკვა.** კლუბში შესასვლელად კუპონები იხდიან 1 მ., ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კ. 1017

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან

ალექსეევ ის ძუ ა., საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეველის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 5930.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილებით.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.
დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
ანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ქირურგიული სნეულებანი.
მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირადოფი რ. ხ. (ყოველ დღე) 12—1.
ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½.

ქალთა და ბავშვთა სნეულებანი.
ექიმი-ქალი გერბიცკი-ფირადოფისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.
თოდუაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ხუციკოვი ბ. ი. (ყოველ დღე) 12—1.

ბავშვთა სნეულებანი.
ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ნერვიანი სნეულ. და ელექტ.
ფედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
ფონდოევი, გ. ხ. (ყოველ-დღე) 1—2 ს.

ყელ. ყურ. და ცხვ.
ბოენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½
ორემბოვსკი ნ. ხ. (ყოველ დღე) 1½—2.

თვალის სნეულ.
მუსხელიშვილი ვ. ხ. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

კანის სნეულ.
დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ., ხაწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტროლით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეიძლებათაური საფასურით. 1035

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებანი** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

ექიმი კბილისა **ნინო რეხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაკარაშვილისა

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. ძველკოკვის ქუჩა № 2. ს. ბაბაძვილისა.

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

სალიტერატურო კრებულის „გრდემლის"

მესამე წიგნის გამოცემა

განზრახულია ამ წლის პირველ ნახევარში. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოს განზრახული აქვს, რამდენადაც სახსარი ნებას მისცემს, თანამშრომლებს ჰონორარი მისცეს. მესამე წიგნი შემდგარი იქნება ორი ნაწილისაგან ისე, როგორც გრდემლის პირველი წიგნი. მასალას კრებულისთვის მიიღებს საზოგადოების თავმჯდომარე გ. რცხილაძე. ადრესი: ოლგას შესახვევი № 5. 1016.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაგიანცი**

წამლოგა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოველ-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი.** ბერბუტოვის ქ., № 23 (ანოროვის ქ. ტელეფ. კუთხე) 7—79. 847

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდ-ბის მოძავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაგრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ ეუძლიანთ მიჰქარონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვო მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა** და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი, ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 67

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწავლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. ისნლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.** № 94. კიროჩნი ქუჩის ახლო, ალექსეევ ბანკიანი. 102

სახელმწიფო სათათბირო

30 იანვრის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

სათათბიროში შეტანილია: საკანონმდებლო მოსაზრება ხარჯის გაწერის წარმოებისა და განხილვის ცკლილებაზე. შეკითხვა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი: სამინისტრო აპირებს თუ არა დასავლეთ გუბერნიებში და პოლონეთის სამეფოში ეკლესიათა სერვიტუტების გაუქმების კანონ-პროექტის შეტანას სათათბიროში. ფინანსთა მინისტრის განცხადება, დაუბრუნოს სათათბიროს მის მიერ შეტანილი კანონ-პროექტი შავი ზღვის ფლოტისათვის 10.500.000 მ. გადადებისა.

სახალხო განათლების მინისტრის განმარტების განხილვა განაგრძეს.

ალმაზოვი. სკოლის დღევანდელი რეჟიმი თან და თან აუტანელი ხდება, საძულელ სასწავლებლებში ზვერვა უკიდურეს სახღვარს მიაღწია. ნუ დაივიწყებთ, რომ საქმე ბავშვებს შეეხება, რომელთა მოქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო წყობილების დაძხობის სურვილად. სათათბიროს უნდა სთხოვოს მინისტრს, რათა საერთო სურვილის დასაკმაყოფილებლად, შეაჩეროს თვისი მოქმედება (ძარცხნივ ტაში).

სუხანოვი. კასო სათათბიროს პირადი მტეოია. იმასა ჰსურს სრულიად გაიქარწყლოს მესაძე სათათბიროს ერთად-ერთი სასარგებლო ღვაწლი სახალხო განათლების საქმეში. ძომაკალ თაობის სიყვარულის გულისათვის, თვისი ინტერესების დასაცავად სათათბიროს ყოველი ლონე უნდა იხმაროს და მოითხოვოს სახალხო განათლების მინისტრის გადადგომა (მარცხნივ ტაში).

ნაზაროვი. სახალხო სკოლები თავის დანიშნულებას აღარ ემსახურება. საშუალო სასწავლებელი გაფერანებულია; იქ დამკვიდრებულა საშინელი რეჟიმი. უმაღლეს სასწავლებელზე ლაპარაკიც მეტია. ოქტომბრისტთა ფორმულა ფრიად რბილია. საკანონმდებლო დაწესებულებათ ისე უნდა დაიყვირონ, რომ მთელს რუსეთს მოედოს მათი ხმა.

კალუგინი კითხულობს მოწაფეთა ორგანიზაციის წესდებას და დაამკვნის, რომ წრეს პირწმინდად აკადემიური ხასიათი ჰქონია. პროკლამაციის პოვნა არაფერს ამტკიცებს, რადგანაც შემთხვევით მოხვედრია ვიტმერის გიმნაზიაში. კრებას დანაშაულობითი ხასიათი არა ჰქონია და მის წინააღმდეგ საკმარისი იყო პედაგოგიური ზომები. პროგრესისტების სახელით **კალუგინ** შეაქვს ფორმულა, რომლითაც უკმაყოფილებას უცხადებს მინისტრს, რომელმაც შეასფერად ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა და ვერ დაიცვა საშუალო სასწავლებელი პოლიციისაგან. მინისტრის განმარტება პროგრესისტებს ვერ აკმაყოფილებს.

სკობელევს სოციალ-დემოკრატების სახელით შეაქვს ფორმულა. მინისტრის განმარტებამ სრულიად ვერ დააკმაყოფილა სოც.-დემოკრატები.

შეჩკოვი. ამ შეკითხვის გარშემო ატეხილ აურზაურით მეჰარკენებსა ჰსურთ შეფარული და მღელვარეა გამოიწვიონ სახალხო დეპუტატში. მინისტრმა საფუძვლიანად დაგვმტკიცა, საიდან მოდენარეობს სკოლის გაბრწყინა და ურიგობა. ეს წყარო—ის ხალხი, რომელნიც ებრალოთ საკითხით არიან დაინტერესებულნი. ვისტმერის გიმნაზიის ჩხრეკაში მთავრობას უკანონობა არა ჩაუდენია-რა. მან მხოლოდ თვისი მოვალეობა შეასრულა (მარჯვნივ ტაში).

როძეანიჩი. მინისტრი ოჯახში შფოთსა სთესს; მშობლებისადმი ჰატივცემას არღვევს.

პეტროვსკი. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს მოწაფეებისაგან 34 ბარათი; მოსწავლეები იწერებიან, მხოლოდ სოციალ-დემოკრ. შეუძლიანთ დაიცვან არა მარტო ხალხის საერთო ინტერესები, არამედ მოსწავლეებისაც.

სავენკო. რუსი ნაციონალისტები სახალხო განათლების მინისტრის მოქმედებას თავყანსა სცემენ, მაგრამ საშუალო სასწავლებელში პოლიტიკის შეტანას კი დამტკიცებულად სთვლიან. შინგარევმა მოგვაგონა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც ბავშვების გულთბილ მზრუნველობისკენ მოუწოდებს. მემარჯვნეებს უმაღლესი რესკრიპტი ისე ესმით, როგორც მოზარდ თაობისათვის სათუთი მზრუნველობა; მემარცხენენი კი გვაწვენენ სათუთს და გულთბილ მზურნველობას რევოლიუციისთვის. როდესაც მინისტრი სცდილობს მოაშოროს საშუალო სასწავლებელს პოლიტიკა, ოპოზიციის წარმომადგენელი აცხადებს უნდა მივესალმოდ ახალგაზრდობის

პოლიტიკურ განვითარებასაო (მარჯვენივ ტაში). საათათბიროს მარჯვენა ფრთა სასტიკად უნდა ებრძოდეს რევოლიუციისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომელთაც ჰსურთ ბავშვები სარევოლუციო ზარბაზნის დასაფლეთ ხორცად აქციოს (ტაში მარჯვენივ). დასასრულ, **სავენკოს** ნაციონალისტების სახელით შეაქებს ფომულა: სათათბირო სავსებით დაკმაყოფილებულია მინისტრის განმარტებით და გადადის მორიგ საკითხებზე (ტაში მარჯვენივ).

მარკოვი მეორე კითხულობს საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა პროკლამაციების მთელ რიგს. მთელი რუსეთი აღელვებულია. იერიში მიაქვთ არა მარტო სკოლაზე, არამედ ბავშვებზედაც, რომელთა ყარყვნასაც, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, სისტემატიურად სცდილობენ. მოლაპარაკემ წაიკითხა გიმნაზიაში აღმოჩენილი მიწერ-მოწერა და სთქვა: დაე, საბრალო ქალწულთ იმდენად არ ეშინოდეთ ჟანდარმების უხეშ და ტლანქ ფეხსაცმელისა, რომელიც ვითომდა მათ სულსა ჰქონიან, რამდენადაც არამზადა, გარყვნილ ინტელიგენტის კოპწია ფეხსაცმელისა (მარჯვენივ ტაში). საქმე უფრო შორს მიდის: ლამობენ მოსწავლეში ჩაჰკლონ სული და რწმენა. პოლიციას სრული უფლება ჰქონდა და მოვალეც იყო შესულიყო გიმნაზიაში და შეეპყრო რევოლიუციონერები, რადგანაც ისინი ნამდვილი რევოლიუციონერები არიან. პედაგოგებს ის ადგილი არა აქვთ, სადაც დანა და ყუმბარა მოქმედობს. აქ პოლიციისა და პოლიციის ვინტოვკების საქმე და ადგილია.

მინისტრის განმარტების განხილვა შესწყვიტეს. გამოაცხადეს შეკითხვა ორლოვის, ალმაჩინის და სხვა საკატორღო ციხეებში ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების გამო.

მანკოვი. შეკითხვა სწრაფად უნდა განვიხილოთ, რადგანაც ყოველ წუთს ახალ-ახალი მსხვერპლი მოაქვს.

ზამისლოვსკი. შეკითხვის სწრაფი განხილვა არ შეიძლება, რადგანაც მისი ფაქტიური მხარე შეუმოწმებელია და იურიდიულად დაუსაბუთებელი. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ წინა შეკითხვებში, ციხის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების თობაზე შეთხზული ფაქტები იყო. შეკითხვა კომისიამ ყურადღებით უნდა განიხილოს ხოლმე.

კერენსკი. შემკითხველებს შიშველი ფაქტები მოჰყავთ, გვარებსაც ასახელებენ. თუ მემარჯვენენი დარწმუნებულნი არიან, რომ შეკითხვა ყალბ ცნობებზეა დამყარებული, მხარი დაუჭირონ შეკითხვის სწრაფ განხილვას, რათა მთავრობა ხვალვე წარუდგეს სათათბიროს! სიყალბე გამოამჟღავნოს. მოლაპარაკეს მოჰყავს ფაქტები სხვა-და-სხვა სატუსაღოებში ტუსაღების წამებისა. გამოცემულია ინსტრუქცია, რომელიც ავალებს ციხის ადმინისტრაციას ზრდილობიანად ექცეოდნენ ტუსაღებ, მაგრამ ეს ინსტრუქცია დაეწყებულია. დროა საზღვარი დაედოს ადამიანურ ღირსების აბუჩად აგდებას და შელახვას (ტაში მარცხნივ).

პურიშკევიჩის ლაპარაკის დროს მემარცხენენი უკმაყოფილებას აცხადებენ. პურიშკევიჩი ამბობს: მეოთხე სათათბიროს წინაშე სდგას გადასაწყვეტად საგულისხმო საკითხები, რომელნიც ხალხის ინტერესებს არსებითად ეხება. მათ განხილვის ნაცვლად შემოაქვთ შეკითხვები ციხეებსა და კატორგელებზე, და დამნაშავეებს პირველ ქრისტიანებს ადარებენ. სათათბირომ უნდა შორს გადაადგოს ამგვარი შეკითხვები და შეუდგეს რუსი ხალხის ცხოვრების არსებით საკითხთა განხილვას.

თავმჯდომარე ვოლკონს კიმ პურიშკევიჩს წესრიგი მოაგონა.

სწრაფ განხილვის საკითხი სათათბიროს უარჰყო 180 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 119.

სათათბიროს მიიღო **ლიუციის** წინადადება, კომისიას ორი კვირის ვადა მიეცეს მოხსენების წარმოსადგენად.

შემდეგი სხდომა 1 თებერვალს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეს გამო. 30 იანვარს საიუბილეო კომიტეტის კრება მოხდა დრამატიულ საზოგადოების დროებით თავჯდომარის ნ. ა. ტარსაიძის თავჯდომარეობით. რადგანაც კომიტეტის თავჯდომარე თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი სპარსეთს მიდის, ამიტომ კომიტეტმა ახალ თავჯდომარის არჩევაზე ითათბირა. აირჩია კნეინა ან. ალ. მაჩაბელი. ამას გარდა დაადგინა, სთხოვოს მხცოვან მგოსანს აკაკის, საიუბილეო დღესასწაულის თავჯდომარეობა იკისროს. დასასრულ აირჩია 5 კაცისაგან კომისია, რომელსაც დაევალა, დღესასწაულის დროს თეატრში და სცენაზე შესაფერი განკარგულება მოახდინოს და საერთოდ დღესასწაულის წეს-რიგი დაიცვას.

— რადგანაც საზოგადოებაში სხვა ოსაფუძლო ხმები გავრცელდა იუბილეის შესახებ; ამიტომ საჭიროდ ვსთვლით, ვაცნობოთ მკითხველთ შემდეგი დანამდვილებითი ცნობები: იუბილეი ათ თებერვალს გაიმართება. ბილეთები ჯერ კიდევ საკმაოდ იშოვება. იყიდება ქართულ თეატრის კასაში. იუბილიარის ბიოგრაფია ცალკე წიგნად უკვე დაიბეჭდა. წიგნი კარგს ქაღალდზეა, დიდის ფორმატისა და 140 გვერდს შეიცავს. დართული აქვს 15 სურათი.

— საიუბილეო კომიტეტს სხვა და სხვა პროვინციიდან სურვილს უცხადებენ იუბილეიში მონაწილეობისას. ასახელებენ თავიანთს დეპუტატებს. კომიტეტი მილოცვების წესრიგის შემუშავებას შეუდგა.

— 30 იანვარს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების კრება მოხდა ვლ. მესხიშვილის იუბილეიში მონაწილეობის მიღების თაობაზე მოსალაპარაკებლად. კრებამ 500 მან. გადასდო იუბილიარის ფონდის სასარგებლოდ. ამას გარდა აირჩია დეპუტაცია ადრესის მისართმევად. დეპუტაციაში მოჰყვნენ: თ-დი შალხ. ანდრონიკაშვილი, ბ-ნი ტერიევი და ი. ე. ზურაბიშვილი.

✦ სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების გამგეობისა და საბჭოს წევრნი 2 თებერვალს ქალაქის პირველს საპოლიციო უბანში დაათვალიერებს ცარიელ მიწებს, სადაც განზრახვა აქვს, შენობები ააგოს საზოგადოების წევრთათვის.

✦ მარტყოფის მონასტრის გამგედ ეგზარხოსმა დროებით დანიშნა არქიმანდრიტი ფილარეტი.

✦ კოჯრის გზაზე ყუმბარებით თავდაცემის გამო. როგორც ვწერდით, ამ საქმის გამო პოლიციამ შეიპყრო მრავალი კაცი, მათ შორის, ცნობილი ტეროროისტი „კამო“ (ტერ-პეტროსოვი). შეპყრობილი პირნი ყველგან ყუმბარებით მოქმედებდნენ. როგორც პოლიციამ გამოარკვია, ყუმბარები „კიბალჩიჩის“ ტიპისა ჰქონდათ. ორის დღის შემდეგ პოლიციამ მიიღო ფარული ცნობა, რომ ბოროტ-მოქმედებს ყუმბარები შენახული აქვთ გრიბოედოვის ქუჩაზე (№ 27) ტფ. მდაბიო მოქალაქის ასტრიქ ტერ-არაქელოვის ბინაზეო. ამის გამო 30 იანვარს, ღამით, პოლიციამ ტერ-არაქელოვის ქალის ბინა გაჩხრიკა და აღმოაჩინა სამი სრულიად დამთავრებული ყუმბარა „კიბალჩიჩის“ ტიპისა. ამას გარდა იპოვა ყუმბარების დასამზადებელი და ასაფეთქებელი სხვა და სხვა მასალა. შეიპყრეს რამდენიმე კაცი. იმ პირთა გვარებს, რომელნიც წიაად და ახლა შეიპყრეს, მკითხველთ ამ დღეებში გავაცნობებთ.

✦ ხმოსანი ა. ს. ბამოვი, რომელიც ოთხის დღის წინად ჟანდარმერიამ დააპატიმრა, გუშინ გაანთავისუფლეს.

✦ 25 იანვარს არქიმანდრიტმა ნაზარიმ **ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი** ჩააბარა ახალს წინამძღვარს იგუმენია ანასტასიას (ვისოცკაიას).

✦ ბოდბის დედათა მონასტერთან **სამოსწავლო სემინარიის** დასაარსებლად უწმ. სინოდმა 80,000 მან. გადასდო.

✦ „კაპეიკის კავშირი“-ს საზოგადოებამ თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად 30 იანვარს ტფ. „კრუჟოკ“-ში **ბალი** გამართა, რომელმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა. ვარაუდით წმინდა მოგება 1,000 მან. აღემატება.

✦ ხვალინდელ უქმის (ძირქმა უფლისა) გამო დღეს, სალამოს, **აღკრძალულია** წარმოდგენებისა და სხვა გასართობების გამართვა.

✦ სავაჭრო ბანკის წესდება დაიბეჭდა და მსურველთ ურიგდებათ.

✦ 30 იანვარს ბაქოდან ტფილისში დაბრუნდა საოლქო სასამართლოს **ბრალმდებელი ა. ა. გრომოვი.**

✦ სათათბიროს სამოსამართლო კომისიამ შეიმუშავა ახალი პროექტი **უბილეთო მგზავრთა ასალაგმავად.** ახალის პროექტით უბილეთო მგზავრ პირველ შემთხვევაში დააჯარიმებენ ხუთის თუმნით და 15 დღით ციხეში დააპატიმრებენ; მეორე შემთხვევაში დააჯარიმებენ 100 მან. და ერთის თვით ციხეში დაატუსაღებენ. სხვისი ბილეთით სარგებლობისათვის, დამნაშავეს პირველ შემთხვევაში დაეპატიმრებენ 3 თვით, მეორე შემთხვევაში 1 წლით.

✦ ცოფიანი ძაღლი. 29 იანვარს ფალავანდიშვილის ქუჩაზე ცოფიანი ძაღლი დარბოდა. ძაღლი გამვლელ-გამომვლელთ ეცემოდა ხოლმე, მაგრამ ვერავის უკბინა. ძაღლი პოლიციელმა მოჰკლა რევოლვერით.

✦ ნაპოვნი ბავშვები. 30 იანვარს მეექვსე ქუჩაზე, № 6 სახლთან მეეზოვემ სამი თვის ბავშვი აპოვა. ბავშვთან შემდეგი შინაარსის ბარათი ეგდო: „დაიბადა 6 ნოემბერს, მონათლულია, მიხეილი ჰქვიან. კეთილ ხალხსა ვსთხოვ, გასაზრდელად აიყვანოს“.—30 იანვარსვე კიროჩნი შესახვევში იპოვნეს ექვსი კვირის ბავშვი შემდეგის ბარათით: „მონათლული არ არის, მართლ-მადიდებელია, ქართველი“. ორივე ბავშვი საბებიო ინსტიტუტში წაიყვანეს.

✦ 30 იანვარს პოლიციას 67 უპასპორტო შეიპყრო.

ქუთაისი

✦ ორშაბათს ქუთაისში მოხდა კრება ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეის მომწყობი კომიტეტის. კრებამ აირჩია კომიტეტის თავჯდომარედ ექიმი ხეჩინოვი, თანაშემწედ პ. მოსიძე, მდივნად ჯ. ჯორჯიკია, ხაზინადრად კ. ტყეშელაშვილი. აირჩიეს აგრეთვე სარედაქციო და საფინანსო კომისია. სარედაქციო კომისიას დაევალა დაამზადოს მოწოდება და გაუგზავნოს ქუთაისის გუბერნიაში არსებულ ყველა საზოგადო დაწესებულებას. პასუხი ამა თუ იმ დაწესებულებებიდან იუბილეში მონაწილეობის შესახებ უნდა გამოეგზავნოს საიუბილეო კომიტეტს 25 თებერვლამდე.

✦ მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (კაკი) ირაკლი წერეთელი, რომელიც ციმბირის საკატორღო ციხეში იმყოფება, როგორც ნათესავებს სწერს, ჯან-საღად არის, და ახლო მომავალში მოელის ციხიდან განთავისუფლებას.

✦ ამ ჟამად ენისეის გუბერნიაში, კანკის მაზრაში, სასამართლოს დადგენილებით სამუდამოდ გადასახლებულნი არიან შემდეგნი: ქ. მიქიტაძე, ზ. ჩხეიძე, გერ. შალამბერია, დ. ციციშვილი, მიხ. მასხარაშვილი, ერმალოზ სირბილაძე, კარპ. მოდებაძე, ვას ახობაძე, ევ. არჩვაძე, დათ. კილაძე, ივ. გოქაძე, ბიქ. ნინუა, მიხ. კიკნაძე, გაბ. ლობჟანიძე, მღვ. მიხ. ებანოიძე, ევ. აბულაძე, ი. ფერაძე. ამათგან პირველ შვიდს ნება აქვს იცხოვროს სამაზრო ქალაქ კანკში და ასე თუ ისე თუმც დიდი გაჭირვებით, მაგრამ ღუკმა პურს მაინც შოულობენ; დანარჩენები კი ყრუ სოფლებშია და უკიდურეს გაჭირვებაშიაც იმყოფებიან.

✦ გიგა ჯუღელს, რომელიც ამ ჟამად ხარკოვის საკატორღო ციხეშია მოთავსებული,—სასჯელის ვადა გაუთავდება აპრილის დამლევს და ციმბირში გაჰგზავნიან.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამომძიებელი ბ-ნ კარსკი ნიკოლაძის საქმეების გამოძიებას განაგრძობს, რომელიც, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ დიდხანს გასტანს.

✦ დღეს, საღამოს 7 საათზე შავიქვის საბჭოს სადგომში ქალთა წრის ჩვეულებრივი კრებაა. სიმ. ქვარიანი ისაუბრებს ქართულ ისტორიაზე. კრებაზე სხვა მამაკაცს არავის შეუშვებენ.

✦ დღეს, საღამოს 8 ნახევარ საათზე თეატრ „რადიუმში“ გიორგი მეფარიშვილი წაიკითხავს ლექციას: „დეტერმინიზმი ანუ ნების უთავისუფლობა.

✦ იასონ ჩიხლაძის თაოსნობით, ასი რაკველი სამუშაოს საშოვნელად სამხრეთ ამერიკაში მიდის. ჩიხლაძე უკვე შეჰკვრია პირობით ამერიკის ერთ-ერთ ფირმას. კეთილსაიმედობის მოწმობა უკვე აუღიათ და მათი ერთი ნაწილი 21 იანვარამდე წავიდოდა და დანარჩენიც პირველ თებერვლამდე წავლენო.

✦ დიდი თოვლის გამო შეწყვეტილი მიმოსვლა რაჭა-ლეჩხუმს შორის, უკვე განახლებულა.

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა შეუდგა 1912 წ. ანგარიშების შედგენას.

✦ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამად იყიდება ფუთი სიმინდი 70 კ.—80 კ., ფქვილი 80—90 კ. სამტრედიის ბაზარზე სიმინდი 65—75 კ., ფქვილი 80—85 კაპ.

ბაქო

✦ ეს რამოდენიმე დღეა ჩხრეკენ და აპატიმრებენ მუშებსა და ინტელიგენტებს. დააპატიმრეს, სხვათა შორის, ქალაქის გუბერნატორის თანაშემწე ვლადიმერ კორძაია.

შეცდომის გასწორება.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში **„ხევის ავ-კარგი“** ერთი სამწუხარო შეცდომა შეპარულა, რომელიც წერილის აზრსა სცვლის. დაბეჭდილია: „სამრეველო სკოლის მასწავლებლები, ეს მოსული ინტელიგენტები, მეცადინეობის დროს რას ახმარებენ, რა ლამპარი შეაქვთ მათ და ბნელით შემოსილ ერში“; **უნდა იყოს:**—„კლასში მეცადინეობის მერე, დროს რას ახმარებენ“ და სხვა.

ჟურნალისტის დღიური

120.

დღი თუ ხალხის სამსახური?

არა ერთხელ გვითქვამს და იძულებული ვხდები ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს იმდენად ხალხის გულ-წრფელი სამსახური არ აინტერესებთ, რამდენადაც პარტიულ ეროს მწერალს მეორესგან განასხვავებს. ამასთანავე ასე თუ ისე ჩვენი ახალგაზდა მწერლები მუშაობენ, ჰქმნიან, და უსამართლობა იქნებოდა, თუ მათ შემოქმედებას ყურადღებას არ მივაქცევდით. აბა, ვინ იტყვის, რომ ჩვენს ახალგაზდა მწერლებში სრულიად არ იყვნენ ისეთნი, რომელნიც თვის შემოქმედებაში განსაკუთრებით თავისებურობას არ ამხილებდნენ?! თუ ერთნი გრძნობას, სიყვარულს და ჰარმონიას შესახავენ ხოტბას, მეორენი მოქალაქობრივი ჰანგებზე აკვნესებენ თვის ძალზე დამწუხრებულს ქნარს. და ქნარის სიმების გამოხმაურებაში მხილება, თუ გნებავთ, ის განსაკუთრებითი ელფერი, რომელიც ერთს

ეროვნული

ნიანობის დაკმაყოფილებაზე, ... ქმედებაში ხალხის სამსახურს თავის თავად ყოველ-გვარი ფასი იკარგება. ერთად-ერთი კერპი პარტია და მისი ინტერესებია. სექტანტური სული შეურიგებლად ჰხდის მათ მაშინაც კი, როდესაც ხალხისადმი სიყვარული სწორედ იმას მოითხოვს, რომ ეს სექტანტობა არ იყოს იქ, სადაც ჯერ კიდევ მაგრადა აქვს ფესვები გამჯდარი ორტოდოქსალურ მარქსიზმს, სოციალ-დემოკრატიული პარტია სექტად გადაიქცა. ასე დაემართა სოციალ-დემოკრატებსაც. შეურიგებლობა კარგია, როდესაც იგი ხალხის სამსახურისთვის არის. მაგრამ, როდესაც შეურიგებლობა მხოლოდ პარტიულ ჟინიანობის დასაკმაყოფილებლად სწარმოებს, მაშინ იგი საძაგლობაა—არც მეტი, არც ნაკლები.

აიღეთ, მაგალითად, დღევანდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ცნობა სახალხო სკოლების მდგომარეობის შეკითხვის გამო. დეპ. ვარლამ გეგანს ძვირფასი მასალა შეუკრებია სკოლათა მდგომარეობის შესახებ, სოციალ-დემოკრატებისთვის უთხოვნია, მომეცით საშუალება ჩემი მასალა გამოვიყენოთ, მაგრამ უარი მიუღია. ჩვეულებრივის, ნორმალურ ადამიანთა თვალსაზრისით, რაც მეტი მასალა გამომზეურდება და რაც უფრო ნათლად დამტკიცდება შეკითხვის საფუძვლიანობა, მით უკეთესია. მაგრამ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატების აზროვნების მექანიზმი თურმე, სულ სხვანაირად მუშაობს. რა საჭიროა გელოვანის საბუთები, ოდონდ ხალხმა კი ისე იფიქროს, რომ იმისთვის მხოლოდ ჩვენა ვზრუნავთ? ასეთი მეწვრილმანური აზროვნება, ასე ჩამოქვეითება მხოლოდ ისეთი ადამიანის მხრით შეიძლება, რომელსაც ხალხი და მისი ინტერესები იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იგი საშუალებას აძლევს ბრძოლაზე იმოქმედოს და ბრძოლა თანაგრძნობა დაიმსახუროს. საინტერესოა ვიცოდეთ, რას წააგებდა ხალხი, რას წააგებდა ჩვენი სახალხო სკოლა, დეპ. ვარლამ გელოვანსაც რომ ფართოდ ესარგებლა თავის მასალებით და იძულებული არ გაეხადათ დაკმაყოფილიყო იმ ხუთი წუთით, რომელსაც მისცემენ განკარგულებაში? ცხადია, სახალხო სკოლა ამით თუ არ მოიგებდა, არაფერს წააგებდა.

მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა ხალხის ნამდვილ და გულ-წრფელ სამსახურის ნაცვლად სათათბიროში დოღი გამართეს, აბა ვინ ვის დასწრებსო. ეს იმდენად არა საკადრისი, იმდენად ტლანქი და უხეში საშუალებაა ბრძოლისა, რომ ძალა-უნებურად იძულებული ვხდებით, ვიღიაროთ: ალბად იდეიურად იმდენად გაკოტრდნენ, რომ ეხლა ხრიკებით-და უნდათ ფონს გავიდნენ. ასეთი ტაქტიკა, როგორც ეტყობა, ჩვენებურ სოციალ დემოკრატებს სისტემად გაუხდიათ. კეთილი და პატიოსანი! თუ ჩხეიძესა და ჩხენკელს

პრესიკული ფენომენები

გ. ქუჩიშვილის პოეზია. *)

როგორც არა ერთხელ აღმინიშნავს, ჩვენი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში უმეტეს ნაწილად პირად განცდათა, პირად სულისკვეთებათა გადმოცემა სჭარბობს; საერთოდ ლირიზმი ფართოდ დაემკვიდრა ჩვენს ახალს მწერლობაში. არ შემიძლია აქ ორი სიტყვით არ შევეხო რუსეთის ცნობილ მწერალ პროფ. დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკის აზრს ლირიკისა, მუსიკისა და ხუროთ-მოძღვრების შესახებ.

ოვსიანიკო-კულიკოვსკის აზრით, პოეზიისა, მხატვრობისა და ქანდაკების „შინაგანი ფორმა“ სხვათა და იდეათაგან შესდგება, მაშინ როდესაც იგი მუსიკასა, ლირიკასა და ხუროთ-მოძღვრებაში ემოციათა და იდეათა შეერთებაა. მართალია, გარკვეულნი ემოციები („ესთეტიურნი“), გრძნობათა ერთგვარი შეთამაშება განუყოფელი თანამგზავრია ყოველ-გვარ მხატვრულ პროცესისა, მაგრამ პოეზიასა, მხატვრობასა და ქანდაკებაში სულის ეს სპეციფიურნი მოძრაობანი თავის-თავად არ იწვევენ იდეის აპერცეპციას; ამ შემთხვევაში იდეის აპერცეპციას მხატვრულნი სახენი იწვევენ. „ესთეტიური ტკბობა“ კი შედეგია პროცესისა, ერთგვარი ჯილდოა შემოქმედებისა—მხატვრისათვის, ხოლო მათთვის კი, ვისაც შეუგნია მხატვრული ნაწარმოები, იგი ჯილდოა შეთვისებისა და საერთოდ სხვის შემოქმედების განმეორებისათვის. სულ სხვათა ლირიკა, მუსიკა და ხუროთ-მოძღვრება; მათში ემოციები სულის იმ არსებითი მომენტი' როლს თამაშობენ, რომელშიაც შემოკრეფილია ნაწარმოების უმთავრესი ძარღვი. პოეზიასა, ქანდაკებასა და მხატვრობაში სულიერი პროცესი შეგვიძლია ასეთი ფორმულით განვსაზღვროთ: **სახეთაგან—იდეასაკენ, იდეათაგან—ემოციისაკენ,** ხოლო ლირიკასა, მუსიკასა და ხუროთ-მოძღვრებაში კი: **გარეგანი ფორმით გამოწვეულ ემოციისაგან—სხვა უფრო გაცხოველებულ ემოციისაკენ, რომელიც მით ღრმავდება, რომ გარეგანი ფორმა სუბიექტისათვის იდეის სიმბოლოდ გარდიქმნის.** თვისი აზრის საილუსტრაციოდ პატივცემულ პროფესორს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: წარმოვიდგინოთ, ჩვენს სმენას ჰხიბლავს რომელიმე მუსიკალური მელოდია; ამ შემთხვევაში ჩვენ ესთეტიური ემოციის გავლენის ქვეშ ვართ. შესაძლებელია იგი ემოცია გაძლიერდეს და უმაღლეს წერტილს მიაღწიოს, თუ მელოდია ჩვენს შეგნებაში სიყვარულის იდეას აღძრავს. **)

აქედან ნათლად სჩანს, თუ რა დიდი სნიშვნელობა აქვს ხელოვნების ხსენებულ დარგებში გარეგან ფორმას, რომელმაც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, თვისი მუსიკალობით უნდა აღგვიძრას ერთგვარი ემოცია, რომლის გაღრმავება იმაზეა დამოკიდებული, გარდიქმნება, თუ არა იგი ფორმა იდეის სიმბოლოდ. თუ ამ მხრივ თვალს გადავავლებთ ჩვენ ახალგაზდა მგოსნების ნაწარმოებს, დიდ სანუგეშოს მაინც და მაინც ვერას ვიპოვით. სულ ორიოდე კაცის გარდა, ძვირად მოგვეპოვება ისეთი ნაწარმოები, რომ ამ მხრივ ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილოს. მართალია ზოგიერთი ნაწარმოები შორიდან წარმტაცად მოსჩანს, მაგრამ ახლოს გაცნობის შემდეგ იგი ჭაობის იმ სუმბულს მოგაგონებთ, რომელიც ძალზე გიზიდავთ თვისი თვალის მომჭრელ სითეთრით, ხოლო ახლოს კი მალე ჰკარგავს თვის თვისებას. ამით სრულიადაც არ მსურს ჩვენი ახალგაზდა პოეტების თავმოყვარეობა შევლახო, პირიქით მათში ბევრ ნიჭიერ ახალგაზდას ვამჩნევ, ხოლო ზემოაღნიშნულ ნაკლის მოტანა, ვგონებ, ყველა ქართველის მოვალეობა უნდა იყოს.

ზოგიერთის აზრით, ჯერ ნაადრევია ჩვენი ახალგაზდა პოეტების შემოქმედების ცალ-ცალკე დახასიათება, ვინაიდან მათ ნაწარმოებებში ისეთი ერთფეროვნებაა გამეფებული, რომ შესაძლებელია ლაპარაკი საერთოდ ქართველ ახალგაზდა მწერლებზე და არა თვითეულ მათგანზე, ვიდრემდის მათი შემოქმედი გარკვეულ ფორმებში არ ჩამოყალიბდებიო. მე ასეთი შეხედულების წინააღმდეგი ვარ და აი რა მოსაზრებით: მიუხედავად ზოგიერთ ერთფეროვნებისა, ჩვენი ახალგაზდა მწერლების შემოქმედებაში მართლაც რომ არსებობს თვალსაჩინო განსხვავება, თავისებურობა, რომელიც ერთს მეორესაგან განასხვავებს. ამასთანავე ასე თუ ისე ჩვენი ახალგაზდა მწერლები მუშაობენ, ჰქმნიან, და უსამართლობა იქნებოდა, თუ მათ შემოქმედებას ყურადღებას არ მივაქცევდით. აბა, ვინ იტყვის, რომ ჩვენს ახალგაზდა მწერლებში სრულიად არ იყვნენ ისეთნი, რომელნიც თვის შემოქმედებაში განსაკუთრებით თავისებურობას არ ამხილებდნენ?! თუ ერთნი გრძნობას, სიყვარულს და ჰარმონიას შესახავენ ხოტბას, მეორენი მოქალაქობრივი ჰანგებზე აკვნესებენ თვის ძალზე დამწუხრებულს ქნარს. და ქნარის სიმების გამოხმაურებაში მხილება, თუ გნებავთ, ის განსაკუთრებითი ელფერი, რომელიც ერთს მწერალს მეორიგან არჩევს, გარკვეულ ინდივიდუალობად ჰქმნის. და დღევანდელი შედგომა, შეფერხება ჩვენი ახალგაზდა მწერლების შემოქმედებაში, გვრწამს, ხსენებულ ორ მიმართულების სინტეტში ჰპოვებს თვის განსრულოვნებას; ამის თავდებია საქართველოს მრავალ საუკუნეთა კულტურა და მისი დიდებული მწერლები. მაგრამ, ვგონებ, საგანს ავცდი. გ. ქუჩიშვილის ლექსებს უნდა შევხებოდი.

ჩვეულებისამებრ, გ. ქუჩიშვილის ლექსებიდან პირველად ყოვლისა იმ ლექს შევეხები, რომელშიაც ახალგაზდა პოეტი მგოსნის დანიშნულებას განსაზღვრავს. ასეთია ლექსი: „ერის მგოსანი“, სადაც პოეტი პირდაპირ ამბობს:

„მგოსანი უნდა იყოს ერისა,
მოძმეთა ცრემლით ცრემლებსა
ჰლვრიდეს,
გუგუნი მისი სიმთა ძღერისა
საქარიშხალო სიმღერას ჰქმნიდეს“.

ერთი სიტყვით, ქუჩიშვილის პოეტი ჩაგრ ელ ერისათვის სიკვდილსაც კი უნდა ნატრობდეს და „ხალხს წინ უძღოდეს რწმენის ალამით“. სამშობლოსადმი წრფელი სიყვარული აქვს გამოთქმული პოეტს ლექსში; „გუშაგს“, რომელშიაც იგი მთვარეს ემუდარება: „ნუ მომაშორებ მშობლიურ მხარესო, მე მას ვეკუთვნი, კავშირო ცისავ, ვერ გამოგყვები ოცნების მხარესო“. იგი გადაჭრით ამბობს, რომ მას არ ძალუძს მოშორდეს ერის კვნესას:

ოჰ, არა, არა, ჩემო გუშაგო!
მსურს ნაოხარ კუთხეს დავსტრიალებდე,
თუმც ტანჯვის მეტი არა მამაგო,
მაგრამ... დე ტანჯვას ვიზიარებდე.

უმთავრესი მოტივი, რომელიც თითქმის ზოლივით გასდევს გ. ქუჩიშვილის პოეზიას-ეს ქვეყნიური არსებობის განსაკარგებლად ბრძოლაა, ცხოვრების ტანჯულ შვილთა მხვედრის კვნესა-ვარამია და მათ მიერ გამოწვეულ პოეტის სულის ჭრილობების მხილებაა. შვების ნიავსაც კი იმას ემუდარება პეტი: დაჰქროლე ციხის სარკმელსა და იქ მყოფ ჩემს ტყვეთ პყრობელ ამხანაგებს

„სალამი უძღვენ გულისა
შეუმსუბუქე ნაღველი.
და შვება ჰფინე სულისაო“

(„ნიავი“)

იმდენადაა შეპყრობილი ჩვენი ახალგაზდა პოეტი ცხოვრების ტანჯულ შვილთა მდგომარეობაზე ფიქრებით, რომ ხშირად ღალატობს მხატვრულ აღწერისათვის საჭირო ფერადებს და მშრალად გადმოგვცემს სულის განაცად ჭრილობებს, რომელიმე დუხჭირ მოვლენით გამოწვეულს. ასეთია მაგალითად მისი ლექსი: **„ღამე“,** რომელიც მხატრულის სამკაულის მხრივ ცოტა არ იყოს მოიკოჭლებს.

რასაც არ უნდა ეხებოდეს პოეტი თავის შემოქმედებაში: დილის წყნარს ღამეს თუ ცხოვრების რომელიმე მოვლენას, იგი მსწრაფლ ტანჯულთა ბედშავ მდგომარეობას აპყრობს თვის გონებას, მწვავე ფიქრები აიშლება მის შინაგან არსებაში და იგიც მწარედ წარმოსთქვამს:

სული ჰკვნესის, გული ხავსდება
წყვდიადით შემოხვეული.
მკერდი იმსხვრევა მღელვარი,
გარს სევდა შემოსეული.
ჯანყ-ნისლმა ჩამომიბნელა
ლაჟვარდი ცისა კამარა,
წარმტაცა სხივი ნათელი,
ხევ-ხუვში მიმასამარაო („ძლევა ლის მოთქმა“).

წყნარ ღამეში, ოდეს ფრინველნი სწყვეტენ თვის ჭიკჭიკს და მარტოდ შთენილს პოეტს აეშლება ხოლმე სევდა-ნაღველი, იგი შემდეგის სიტყვებით მიმართავს თვის სულს:

მაშინ სულო!... აჩრდილივით
ხალხის თვალთა უხილავად,
შენსკენა ვრბი... შენი ბინის...
სასაფლაოს სანახავად...
მწუხარების ცრემლით გირწყამ
ობლად ნაზარდ ია-ვარდებს
და ვაგლახით შემოგჩივი
სულის კვნესას გულის დარდებ („წყნარ ღამეში“)

დიაღ, პოეტი მუდამ უკმაყოფილოა, მუდამ დაუწყნარებელ სულიტკივილებს განიცდის გარემოცვ

ჰგონიათ, რომ ბრძოლის ასეთი საშუალებით შორს წავლენ, მალე დარწმუნდებიან, რომ ძალიან შემცდარნი ყოფილან. სომხის ბურჟუაზია ყოველთვის ჩხეიძის განკარგულებაში არ იქნება და ბათომისა და ყარსის ოლქის მცხოვრებლებიც მალე შეიგნებენ, რომ დეპუტატობისთვის, სოციალ-დემოკრატობის გარდა, თავიც არის საჭირო.

იქ, სადაც არჩევნების ბედის გადაწყვეტი თვით ქართველობა იყო, ქუთაისის გუბერნია, სოციალ-დემოკრატების ციტადელი, ხელიდან გამოეცალათ. მალე სხვაგანაც შეიგნებენ ამას, და მაშინ სომხის ბურჟუაზიაც ვეღარაფერს გიშველით. ვინც საკანონმდებლო დაწესებულება დოღად გადააქცია, ვისაც ხრიკებითა ჰსურს ლელოს გატანა, ალბად ძირი მომპალი ჰქონია. იმასაც, ვნახავთ, ძირ-მომპალი ხე ხრამში ვარდებოდეს!.. **შინაური.**

შეკითხვა

სახალხო სკოლების მდგომარეობის შესახებ და ჩვენი დეპუტატები.

პეტერბურგიდან გვწერენ: „მოსალოდნელი იყო, რომ საერთო საქმე, ხალხის სამსახური, სათათბიროში ყოფნის დროს მაინც შეაერთებდა ჩვენებურ დეპუტატებს. მოსალოდნელი იყო, ერთმანეთთან კინკლაობასა და ხრიკებს ადგილი არ ექნებოდა, მაგრამ მოვსტყუვდით. როგორც ვიცით, ბ-ნ გელოვანს შეკითხვა უნდა შეეტანა სახალხო სკოლების მდგომარეობის შესახებ. მასალები დაგვიანებით მიიღო, და ამიტომ შეკითხვის შეტანა სოციალ-დემოკრატებმა დაასწრეს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მასალა, რომელიც ძლიერ დიდ ყურადღებას იწვევს და რომელიც შეკითხვისათვის ძვირფასია, ბ-ნ გელოვანსა აქვს და არა სოციალ-დემოკრატებს. შეკითხვაზე სოც.-დემოკრატთაგან პირველად ხელი ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს უწერიათ, მეორედ კი ერთ რუსს. გელოვანმა წინადადებით მიჰმართა ჩხენკელსა და ჩხეიძეს, რადგანაც თქვენ დამასწარით, მეორე ადგილი დამითმეთ, რომ მეც სავსებით გამოვიყენო ძვირფასი მასალაო. სოციალ-დემოკრატებმა უარი უთხრეს“.

სამღვდელოების კრება

სამღვდელოების კრების თავმჯდომარე, მღვდელი ა. ჯალიაშვილი 30 იანვარს საქართველოს ექსარხოსს წარუდგა სემინარიის ძველ შენობისა და სადრამო ფულის საკითხების გამო. ეგზარხოსმა აცნობა, რომ სემინარიის შენობის იჯარით გაცემა მინდობილი აქვს სასინოდო კანტორას და განზრახვაა, საიჯარო ფულიდან ერთი-მესამედი სამღვდელოების სასარგებლოდ გადაიდოს, ხოლო ორი-მესამედი იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც სინოდს მოუვიდა სემინარიის ახალ შენობის აგებაზეო. რაც შეეხება სადრამო ფულს, ამ საკითხის გადაწყვეტა მეფის მოადგილის კანცელარიაში საგანგებო კომისიას აქვს მინდობილი, რომელიც საქმეს ჩქარა დაასრულებს და იმედია, სამღვდელოების სასარგებლოდაო. 30 იანვარს, საღამოს, და გუშინ დილით სამღვდელოების კრება გაგრძელდა.

საეპარქიო სასწავლებლის შენობის გაფართოვების საკითხი კრებამ ასე გადასწყვიტა: გადაიდოს 33,000 მან. შენობაზე მესამე სართულის დასადგმელად; ეს ფული ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს სანთლის ქარხანამ. ამავე სასწავლებელში მოსწავლეთა მეთვალყურეების ორის ადგილის დაარსება კრებამ საჭიროდ არ იცნო და დაადგინა, ეს შრომა განაწილდეს კლასის აღმზრდელ ქალთა შორის (სამია). რისთვისაც მათ თვეში 10 მ. მოემატოსო. სასწავლებლის უფროსს კრებამ 800 მ. ჯამაგირი დაუნიშნა ნაცვლად ახლანდელი 600 მ.; სკრიპკის კლასის დაარსება საჭიროდ არ იცნო, მოწაფე ქალი ევსევენკო სახელმწიფო ხარჯზე მიიღო. დასასრულ აირჩია თავისი წარმომადგენელნი საეპარქიო სასწავლებლის საბჭოში: მ. არხანგელსკი, ქრ. ცაცქიშვილი და ნ. თალ ქვაძე; მათ კანდიდატებად დანიშნა: ვ. კარბელაშვილი, ალ. თებზაძე და ი. სოლომონოვი.

კრებამ ამას გარდა დაადგინა, დაავალოს სანთლის ქარხანას, ასესხოს 300 მ. თიანეთის წმ. გიორგის ეკლესიის დასამთავრებლად, თუ ნივთიერი ღონისძიება ამის ნებას მისცემს.

თხოვნა სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფ მარჯანიძის ქვრივისა, რომელიც შემწეობას თხოულობდა, გადასცა სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს.

არხოტის საუღელტეხილო გზა.

არხოტის საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანა დიდ სარგებლობას მოუტანს გარშემო მდებარე თიანეთის მაზრის მცხოვრებთ, რომლის საზღვარშიაც შედის ფშავ-ხევსურეთისა და ერწო-თიანეთის საბოქაულო. პირველ მათგანში მოსახლეობენ ფშავლები, ხევსურები და ქისტები, მეორეში ქართველები, ერწოს და არტნის ხეობის ფშავლები. ორივე ნაწილი შეიცავს დაახლოვებით 4420 ოთხკუთხ ვერსს და ითვლება თითქმის 29000 სული. ორივე ნაწილში ზედმიწევნით, რომ ვიანგარიშოთ არის 118193 დესეტინა სახაზინო და 34453 სათავადო მამული, რომლიდანაც 604 დესეტინა სამოსახლო, 17614 დესეტინა სახნავი, 33196 დესეტ. ტყე 98065 დესეტ. საძოვარი და 3167 დესეტინა სათიბი; სულ 152,646 დესეტინა.

საქონლის რაოდენობა არის შემდეგი: ცხენი ხუთი ათასამდე, რქიანი საქონელი—ცამეტი ათასი, თხა და ცხვარი—ას-ოთხმოც ათასი. აქედან ჩარჩები აუარებელ საქონელს მიერეკებიან.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული 33196 დესეტინა ტყე პირად განცდაზე მოგვითხრობს მგოსანი, საჭიროა მისი იმდენად ძვირფას ფორმაში ჩამოსხმა, რომ ემოციის საშუალებით იგი ფორმა მკითხველისათვის სიმბოლოდ გარდაიქმნეს და მით გამოწვეული ემოციები უფრო გაღრმავ-გაძლიერდნენ. მაშინ ექნება პირად განცდათა გადმოცემას თვისი მნიშვნელობა და თუ გნებავსთ თვისი მომხიბვლელი სიწარმტაცეც, რომელსაც ძალუძს მკითხველის პირდაპირ დატყვევება. ჩემის აზრით, ეს კი შესაძლებელია გ. ქუჩიშვილისათვის, რადგან მას საამისო ნიჭი ეტყობა; ამისათვის კი საჭიროა შემოქმედების გაფართოვება და გაღრმავება.

გ. ქუჩიშვილის იმ ლექსთაგან, რომელნიც ამჟამად ხელთა მაქვს. ყველაზე ნიჭიერად დაწერილნი არიან: **„ანდერძი“, „ელეგია“ და „ძიება“**, რომელნიც პოეტის წრფელ გრძნობებით გაღვივებულან ჭ მკითხველზე ძლიერს შთაბეჭდილებას სტოვებენ.

როდესაც დადგეს გამარჯვების დღე და ნათელი მოეფინოს ბნელით მოცულ ქვეყანას, „გახსოვდეთ, ვინც რომ დაჭკარგეთ ველზეო“, ემუდარება **„ანდერძში“** მგოსანი ძმებს, მუშებს:

გამარჯვების დღეს, დილის რიჟრაჟზე
იცოდეთ, რომ ჩვენც მოგელით... გვნახეთ!
დაღუპულ გმირთა საძმო საფლავზე
ძლევის სიმღერით ეს ჩამოგვძახეთ:
—აიშალენით! აღზდექით მკვდრეთით!
ჩვენ გავიმარჯვეთ, ვდღესასწაულობთ!...
აღზდექით გულის სწორ-მეგობრებო
თავისუფლება გიხმობთ... გკითხულობთ!

ლის ტანჯვა-ვაებით, რაგორც მეტად მგრძნობიარე აპარატი, და ხშირად მიმზიდველად და გულწრფელად გვიზიარებს ამ მდგომარეობით აშლილ სულის ჭრილობებს. მაგრამ იმედი უკეთესი მომავლისა, მიუხედავად მრავალი სასოწარკვეთილ წუთებისა, მაინც მედგრად ფხიზლობს პოეტის გულში და იგიც მძლედ მიიწევს თვის სათაყვანებელ კუნძულისაკენ და გულით არღვევს აღქაფებულ ზღვას. და ვინ იქნება, რომ წინააღუდგეს პოეტის სულის სწრაფვას! იგი მაინც მიახწევს „დიად მიზანს, სანატრელ კუნძულს, გულს მიისვენებს თვის ღვთაებას, ლოცვით მოქანცულს“. („მეზღვაურის ხმა“).

პოეტს სწამს, რომ „მოვა დრო და ხალხთან ერთად დაიქუხებს ბრძოლის ჩანგი“ („სიმღერა“).

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ახალგაზდა მწერლის ლექსებში თითქმის იშვიათად იხილავთ მხატვრულს სურათს იმ ჩაგრულთა და დევნილთა ცხოვრებიდან, რომელთა მხვედრი პოეტის სულს სიმშვიდეს უკარგავს. აქ უფრო პირად განცდათა და სულის კვეთებათა შესახებაა ლაპარაკი. არ ვიტყვი, რომ პოეტის ზოგიერთი ლექსი მკითხველის გრძნობას ღრმად არ ეხებოდეს და მასაც არ აფიქრებდეს ცხოვრების ჩაგრულ შვილთა შესახებ, მაგრამ მის ნაწარმოებში არიან ისეთებიც, რომელიც ახლოს არ ეკარება მკითხველის სულსა და გულს და მსწრაფლ იკარგება მის მეხსიერებიდან. ეს უმთავრესი ნაკლია ჩვენი ახალგაზდა პოეტისა, რომელსაც მგოსანმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. კერძოდ, როდესაც

ჩვენ ნათელს სახეს ვეღარ ვიხილავ...
დაუსრულებელ ძებნაში მკვდარი
შენ დამიტირე ცრემლების ღილავ.
(„ძიება“).

დასასრულ, ერთხელ კიდევ მოვაგონებ ჩვენს ახალგაზდა ნიჭიერს მგოსანს, რომ მეტი გრძნობა, მეტი სიცხოველე შეეტანოს თვის შემოქმედებაში და მით მას მიმზიდველობა და სიმშვენიერე შეჰმატოს.

საერთოდ ჩვენ ახალგაზდა პოეტებს უნდა შევნიშნო, რომ სასურველი არ არის პოეზიაში გონება ბატონობდეს, გონება მშრალი, განყენებული და კრიტიკულად მოაზრე; პირიქით საჭიროა მხატვრული გულთამხილაობა, ცხოველი გამოხატულება, მხატვრულ სახეთა მომხიბვლელ ფორმით დასურათება და გრძნობის ლაღ ნაკადივით ადუდუდუნება. თორემ უამისოდ პოეტურს შემოქმედებას — პოეზია-უპოეზიოდ ეწოდება, როგორც მაგალითად ეძახიან საფრანგეთის მე-18 საუკუნის პირველ ნახევრის პოეზიას, რომლის შესახებ გ. ლახსონი სწერს („Ис. фр. лит. 18 вѣка.“). ლექსები და ლექსთა შემთხვეველნი სოკოებსავით გამრავლდნენ, მაგრამ არ იყო არც პოეზია და არც პოეტებიო... ეს ნაწილი ჩვენის მწერლობისა უსიცოცხლოა; მაშ ვიქონიოთ სიმამაცე და სრულიად გამოვტოვოთ იგი ჩვენი განხილვიდგანო“.

ვისურვებ მთელის არსებით, ასეთი მსჯავრი არ დაედვას ჩვენი ახალგაზდა მწერლობის შესახებ მის მომავალ კრიტიკოსს!

ალ. წერეთელი.

სასპოლო კომიტეტის

მოხსენება თავად-აზნაურობას

(შემდეგი)

ყველა ის, რაც კი ეხება სათადარიგო თანხისა და საადგილ-მამულო საქაქრონერო ბანკთა მიერ გაცემულ ფულის ურთიერთობას, შეკრებილია ქვემოდ მოყვანილ ცხრილში, რომელიც გვიჩვენებს, რომ ტფ. თავ.-აზნ. საად.-მამ. ბანკი, რომელიც სხვა ბანკებთან ერთნაირ პირობებში იმყოფება, მათ შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენში არსებობს საურთიერთო თავდებობა მოვალეებისა, რაც სხვა ბანკებში არ არის, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, ტფ. თავ.-აზნ. საად.-მამ. ბანკი უფრო უზრუნველ-ყოფილია, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიების ამგვარივე დაწესებულებანი

საადგ.-მამულო ბანკები.	გაცემული თანხა.	სათადარ. თანხის მდგომ.	ს. თ. თანხის 4% ნორმა უნდა იყოს.	ნამდვილად შედგება.
	მან.	მან.	მან.	მან.
მოსკოვისა	161	6,5	6,44	00.6
კიევისა . .	95	3,7	3,80	0,10
ს.პ.ბ.-ტულ.	100	4,0	4,00	—0
ნიჟეგ.-სამარ.	87	3,2	3.48	0,28
ბესარ.-თავრ.	118	4,6	4,72	0,12
პოლტავისა	111	5,5	4.44	1,16
ხარკოვისა	121	1,7	4,84	3,14
იარ.-კოსტრ.	27	0,7	1,08	0,38

თუ ტფ. თავად-აზნ. საად.-მამ. ბანკს სხვა ბანკების პირობებში ჩავაყენებთ, ე. ი. სათადარიგო თანხაში საგირავნო ფურცლების რაოდენობის 4% მოვითხოვთ, მაშინ შესაფერი ციფრები ამგვარი იქნება:

ტფ. სათავ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ. 48 მ., 1,70 მ., 1,92 მ.—0,22 არა საქაქიენერო ბანკების ან ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წესდებებს რომ მივმართოთ, დავინახავთ, რომ სათადარიგო თანხის რაოდენობა იქუფრო მცირეა, ვიდრე ტფ. თავ.-აზნ. საად.-მამ. ბანკში. მაგალითად: ოდესის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში სათადარიგო თანხის გადიდება მაშინა სწყდება, როცა მისი პროცენტები საკმარისია მართვა-გამგეობის ხარჯების გასასტუმრებლად. მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებაში განსაზღვრული რაოდენობა სათადარიგო თანხისა არის 4% გაცემულ თანხის საერთო ჯამისა, როგორც საადგილ-მამულო ბანკებში.

მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია მოვითხოვოდ, რომ ტფ. თავ.-აზნ. საად.-მამ. ბანკმაც სათადარიგო თანხის რაოდენობა განსაზღვროს არა 7%, არამედ 4% გაცემულ თანხათა ჯამიდან. შეამციროს ყოველ წლიური გაძლიერება სათადარიგო თანხისა და გაადიდოს ის თანხა, რომელიც საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მიდის.

სარგებლის ასეთი განაწილება და მაქსიმალურ სათადარიგო თანხის შესუსტება სრულიადაც არ ავნებს ბანკს, რადგანაც ამ გარემოებას არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს საგირავნო ფურცლების კურსთან. მართლაც: მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციათა კურსი, საცა სათადარიგო თანხა 4% ნორმაა, სრულიადაც არ არის თუნდ პოლტავის საად.-მამ. ბანკის საგირავნო ფურცლების კურსზე დაბალი, საცა სათადარიგო თანხა 1,16% აღემატება აღნიშნულ ნორმას. სწორედ ეგრევე საგირავნო ფურცლების კურსი არ იზრდება ხერსონის ბანკში, სადაც სათადარიგო თანხა 7%. ზედმეტად სავალდებულო საგირავნო ფურცლების მოსასპობი თანხა მხოლოდ ტფ. თავ.-აზნ. საად.-მამ. ბანკში არსებობს. მის დაწესების დროს მიზანი არ იყო აღნიშნული. ასე, რომ, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, იგი უნდა მივიღოთ დროებით გასაძლიერებელ წყაროდ, სათადარიგო თანხისა, რომელიც პირველ ხანებში ფრიად სუსტი იყო და შესამჩნევად ჩამორჩენილ ბანკის ოპერაციებთან. ეხლა კი, როცა სათადარიგო თანხამ თითქმის **სხვა ბანკების მიერ დადგენილ** ნორმას მიაღწია, საჭიროა ტფ. თავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკი გავანთავისუფლოთ ზედ-მეტ სავალდებულო ფულის გადადებისაგან. დღევანდელ დღემდე შეგროვილი ფული ბანკმა სათადარიგო თანხას უნდა მიუმატოს და შემდეგში კი ვააძლიეროს 10%-ით ყოველ წლიური გადადება საზოგადო საჭიროებათა თანხაში.

ამ საშუალებით, ყოველ წლიური შემოსავალი, რომელსაც თავად-აზნაურობა იღებს ბანკისაგან, გაიზრდება არა ნაკლებ 40,000 მანეთით, რაც საშუალებას მისცემს თავად-აზნაურობას სავსებით დაუხმაროს გიმნაზიას და ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვროს ყოველ წლიურ გაღებულ თანხის რაოდენობა.

თუ ზემოდ მოყვანილ მოსაზრებას თავად-აზნაურობა სწორეს და სამართლიანად ჩასთვალოს, მას შეუძლიან თავის რწმუნებულების შემწეობით აღძრას საკითხი წესდების შესაფერ შეცვლის თაობაზე. ეს ცვლილება არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს ფინანსთა სამინისტროში.

სარგებლის 10% გადადება ზედმეტი სავალდებულო საეროვნო ფულების მოსასპობად რომ მოისპოს, ტფ. თავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკს დარჩება თავისუფალი თანხა 590 ათას მანეთზე მეტი. ეს ჯამი, რასაკვირველია, სათადარიგო თანხას მ-ემატება.

თუ თავად-აზნაურთა საგანგებო შუამდგომლობით ნება-დართული იქნება უპროცენტო სესხის აღება ამ თავისუფალ თანხიდან, თუნდა 350 ათას მანეთისა, რომელიც, 10—15 წლის განმავლობაში გადასწყდება თავად-აზნაურთა წლიურ სარგებლიდან, გამგე კომიტეტი თვის უმაღლეს ოცნებას მიღწეულად ჩასთვლიდა. იგი ერთდროულად გადასწყვეტავდა გიმნაზიის ყველა ვალებს. თავად-აზნაურობა 10—15 წლის განმავლობაში გიმნაზიის შესანახად თუ გაიღებს ყოველ წლიურად 140 ათას მანეთს და შემდეგ კი 75 ათას მან. ჩვენს ძვირფას დაწესებულებას გაამდიდრებს, მოანიჭებდა მას უზრუნველმყოფელ ცხოვრებას, და გრწყინვალე მომავალს, ტფილისის თავად-აზნაურთა საქმეებრადა და სადიდებლად.

დასკვნის რა ნათქვამს, „ღარიბ მოწაფე დამხმარებელი ტფილ. გუბ. თავად-აზნაურთა „საზოგადოების“ გამგე კომიტეტი მიჰმართავს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას თხოვნით:

1. ტფილ. სათავ.-აზნ. გიმნაზიის სამარცხვინო ლიკვიდაციის და ძვირფას დაწესებულების დასახსნელად, მიღებულ იქმნას შესაფერი ზომები საერთო კრების გარდაწყვეტით. ან მიეცეს ერთიდროული თანხა 350 ათას მანეთითო და ფულის ყოველ წლიურად, გიმნაზიის შესანახად, ეხლანდელ შტატის მიხედვით 35 ათასი მანეთი*) ან ყოველ წლივ პირველ 15 წლის განმავლობაში მიეცეს გიმნაზიას არა ნაკლებ 140 ათას მან., რომლიდგანაც 55 ათასი მანეთი ვალის გადასაწყვეტად არის დანიშნული და 83 ათასი მანეთი გიმნაზიის შესანახად. 15 წლის შემდეგ კი მხოლოდ 75 ათასი მანეთი, რაც აუცილებელია გიმნაზიის მიმდინარე ხარჯის დასაფარად.

2. თავად-აზნაურთა შეძლების გასაძლიერებლად, რომელიც მიწათმოქმედ და მიწათ-მფლობელ მცხოვრებთა საჭიროებისთვის არის გადადებული, შუამდგომლობა აღძრას თვის რწმუნებულთა შემწეობით ტფ. სათავ.-აზნ. ბანკის წესდების შესაფერ ცვლილების მოსახდენად, ე. ი. აღიძრას შუამდგომლობა, რომ „მოისპოს ზედ-მეტი სავალდებულო გამოსყიდვა საგირავნო ფურცლებისა და ამ საშუალებით შესახული ფული გადაიდოს 45% ბანკის სარგებლის იმ თანხაში, რომელიც მიწათმოქმედ და მიწათმფლობელთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად არის დანიშნული. ეს ცვლილება შეიძლება მოხდეს წესდების 78 და 88 პარაგრაფების ძალით.

3. იშუამდგომლოს 520 ათასიან თავისუფალ თანხიდან 350 ათას მანეთის უპროცენტო სესხის აღებისთვის ამ ვალის თანდათანი გადაწყვეტით 15 წლის განმავლობაში. ეს შუამდგომლობა შეიძლება აღიძრას მეფის მოადგილის შემწეობით ტახტის წინაშე რომანოვთა გვარეულობის 300 წლის იუბილეს დღესასწაულის გამო.

გამგე კომიტეტის თავმჯდომარე
თავ. პ. ი. თუმანიშვილი.
თავმჯდომარის ამხანაგი **გ. ნ. ყაზბეგი.**
წევრნი: **თავ. დ. გ. ჯორჯაძე, ქლ. ი. გიორგიანელი, ი. გ. რატიშვილი, მ. კ. ყიფიანი და ს. ი. ბაქრაძე.**

*) მთავრობის გადაწყვეტილებაში, რომ გადადებულ ფულის მოგვინდებოდეს დამატებითი ფული 14.688 მან.

ბალკანეთის ოქი

დეპეშები.

30 იანვარი.

სოფია. ფერდინანდ მეფემ მადლობა გამოუცხადა ბულგარეთის ჯარს, რომელმაც ბულგარეთან უკუაქცია ოსმალეთის ჯარი.

სოფია. ბულგარეთან ბრძოლის დამატებითი ცნობანი. ოსმალები საშინლად დამარცხდნენ. ბულგარებმა დამარხეს 2.500 ოსმალი.

3.000-ზე მეტი გვამი ბრძოლის ველზე ყრია. მარკოოშში გადმოსხდარი ოსმალეთის ჯარი 2 დივიზიისაა. ჯარის გადაყვანას 2 დღე მოუნდნენ. მესამე დღეს ბულგარები დაესხნენ თავს ოსმალებს. ოსმალები თავზარდაცემულნი მიეშურნენ ნაპირებისკენ. გემებში სხდომის დროს ბულგარეთის არტილერიამ ზარბაზნები დაუშინა: ოსმალები როგორც იყო ჩასხდნენ გემებში და ზღვაში შეცურდნენ.

ათინა. ვენიზელოსი ჩამოვიდა.

სოფია. ბულგარეთის საგანგებო იტყობინება, რომ ოსმალეთის ცნობები გამარჯვების თაობაზე, სიძართლეს მოკლებულიაო. ჩათალჯასთან თვალსაჩინო ბრძოლა არ მომხდარა. რაც შეეხება გალიპოპოლს, ბულგართან ოსმალებს მოუკლეს და დაუჭრეს 15.000 მეომარი.

სოფია. ომის მიმდინარეობაზე ერთმა მინისტრმა სთქვა: საქმე კარგად მიდის. გამარჯვების იმედი უზრუნველყოფილია. ოსმალების ყოველივე ცდა დამარცხებით გვირგვინდება. ბულგართან ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევჩერდებით, როდესაც ოსმალები ზავს ბრძოლის ველზედვე მოაწერენ ხელს და დაკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას, რომელთაც ჩვენ წარუდგენთ გამარჯვების შესაფერსა. ლონდონის პირობები დავიწყებას უნდა მიეცეს.

ბელგრადი. მეორე დღეა, რაც სკუტართან სომარი მოქმედებს შეჩერებულია. ამის მიზეზი ჩერნოგორიის ჯარის დიდი ანაკლისია. ადგილის მდებარეობა და არტილერიის სისუსტე იერიშის მიტანას აფერხებს.

სტამბოლი. მალიპოპოლიდან 12000 დაჭრილი ჯარის კაცი მოიყვანეს. ერთმა ბულგარელმა ტყვემ დანით ყელი გამოიჭრა, როდესაც ოსმალებმა მოიწადინეს ეთქმევინებინათ ბულგარეთის ჯარის საბანაკო ადგილები.

სოფია. კუმბერგასიდან ბიუკ-ჩეკმენჯში მივიდა ახალგაზრდა ქალი ბავშვით და ბულგარებს უამბო: ოსმალებმა ამოჟლიტეს ყველა ქრისტიანი მამა-კაცი, მათ შორის მღვდლებიც და ბავშვებიცაო. ახალგაზდა ქალნი გემებით წაიყვანესო. ასეთივე სიმკაცრე განმეორდა სოფელ კასტენიასა და უკლალში.

სოფია. 28 იანვარს შარკოისთან ბრძოლაში ოსმალებმა 1000 კაცზე მეტი დაკარგეს. ადრიანოპოლს ყუმბარებს უშენენ. ოსმალო ტყვენი ირწმუნებიან, რომ ოსმალეთის ჯარი მოუიქენლად ელის ზავსო.

ლონდონი. ცნობები მოვიდა, რომ სკუტართან ჩერნოგორელები დიდად დაზარალდნენო.

გაზეთებიდან.

მთავარ სარდლების შეხვედრა.

ს. ბაღჩეს-ქოიში ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და ოსმალეთის ჯარების თავარ სარდლები, რომელთაც თათბირი ჰქონდათ ადრიანოპოლის შესახებ. მოლაპარაკებამ ნაყოფი ვერ გაძოიღო, რადგან ღენ. საფოვმა განუცხადა მაჰმუდ-შევქეთფაშას, რომ ომის განახლების შემდეგ ადრიანოპოლის საკითხი აღარ არსებობს და ამას იქით მოკავშირეთა მოთხოვნილებანიც უფრო გადიდდებაო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

30 იანვარი.

პარიზი. რადგანაც ბულგარეთის მთავრობამ უარი განაცხადა გამოეყო ადრიანოპოლიდან ნეიტრალურ ადგილი, სადაც უცხოელნი უშიშრად შეეფარებოდნენ და უცხოელებს ადრიანოპოლიდან გამოსვლის ნებაც არ მისცა, საფრანგეთის მთავრობა ენერგიულად მოითხოვს ბულგარეთისაგან, უცხოელებს ნება მისცეს გაჰშორდნენ ალყა შემორტყმულ ადრიანოპოლს.

ბუდაპეშტი. ოსმალეთის ფინანსთა მინისტრი ებაასა ოსმალეთის გაზეთ „აზეთი“-ს კორესპონდენტს. მინისტრმა სთქვა: მე არაფერი შემიტყვია ევროპის ფინანსისტთა წრეების ბოიკოტზე, რომელიც, ვითომც ოსმალეთისკენ იყოს მიმართული. პირ-იქითო, იმედი მაქვს, საქმე ვენელ ბანკირებთან სასურველად მოვაწყოთო.

ბერლინი. სოფლის მეურნეთა საბჭოს ბანკეტზე იმპერიის კანცლერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა სიტყვა წარმოსთქვა. კანცლერმა ზავის იმედი გამოსთქვა. მისი აზრით საჭიროა გერმანიის ხმელეთის ჯარის გაძლიერება, რათა იმპერია და ხალხი ომისგან უზრუნველყოფილი იყვნენო. გერმანიის მდგომარეობა დიდ ბსნეერპლს ითხოვსო და ვისაც კი იარაღის ტარების უნარი აქვს, ჯარის-კაცად უნდა იყოს.

ვენა. „კორესპოდენც - ბიუროს“ ცნობით, 1 მარტს ტრიესტში მოხდება ევროპისა, ეგვიპტის და ამერიკის ალბანელთა მოსახლეობის წარმომადგენელთა კონგრესი.

ლონდონი. ამბობენ, ხაკი-ფაშაის ლონდონში ჩამოსვლას სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებასთან აქვს კავშირიო. ოსმალეთს იმედი აქვს ადრიანოპოლი შეინარჩუნოს. თუმცა იმასაც ამბობენ რომ ოსმალეთის დელეგატი მალე დარწმუნდება ამ იმედის ამაოებაში. იმედს აძლიერებს ოსმალეთის ელჩის ბაასი გრეისთან. ელჩს უთქვამს: ოსმალეთი სამშვიდობო მოლაპარაკების საქმეს დიდ სახელმწიფოებს ძიანდობსო. გრეის ამაზე ჯერ პასუხი არ მიუცია. ამ საქმის თაობაზე დიდ სახელმწიფოებთან თათბირია საჭირო.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, თეფტიკ-ფაშას უთხოვნია გრეისთვის დიდ სახელმწიფოთა ჩარევა. გრეის უარი განუცხადებია და უთქვამს: დიდ სახელმწიფოთა ჩარევა არ მოხდება ძანამდე, სანამ ოსმალეთი შეასწორებელ პირობებს არ წარუდგენს მოკავშირე სახელმწიფოებსაო.

გაზეთებიდან.

თავ. გოგენლოეს მისია.

ვენიდან მოსილ ცხობებით, თავ. გოგენლოეს რუსეთში მოგზაურობის მიზანი ის იყო, რომ დაეთანხმებია რუსეთის მთავრობა ავსტრიასთან კერძო მოლაპარაკების გასამართავად ბალკანეთის საქმეების თაობაზე. ეს მისია გოგენლოეს ვერ შეასრულა, რადგანაც ძას პეტერბუოგში უპასუხეს, ამ საკითხებს ლონდონის კონფერენცია არჩევსო. გოგენლოეს პეტერბურგში ყოფნის დროს, ლაპარაკი არ ყოფილა მეიარაღების გასაზღვრის თაობაზე, მაშასადამე ავსტრია არ გამოაცხადებს დემობილიზაციასო.

ელჩთა კონფერენცია.

ეგეის ზღვის კუნძულების შესახებ ელჩთა კონფერენციამ კომპრომისული დადგენილება მიიღო; კუნძულები: სამოფრაკი, ლემნოსი, იმბროსი და თენედოსი ოსმალებს დარჩებათ. ლესბოსი, ხიოსი და სამოსი ავტონომიას მიიღებს სულთნის სუვერენობით, ხოლო არქიპელაგის დანარჩენი კუნძულები საბერძნეთს ერგება. საკითხი ვალის გადახდისა, აგრეთვე სადამოუნო და სარკინისგზო გადასაწყვეტად საერთაშორისო საგანგებო კომისიას გადაეცემა.

რუსეთი და სრუტეები.

რუსეთის ერთ გამოჩენილ დიპლომატს უსაუბრნია „რუსკოე სლ.“ კორესპონდენტთან იმის შესახებ, თუ რატომ არ აღძრა რუსეთმა სრუტეების გახსნის საკითხი.

„რუსეთისა და უცხოეთის ბევრი გაზეთი უსაყვედურებს ჩვენს მთავრობას,—უთქვამს დიპლომატს,—რომ რუსეთმა არ ისარგებლა ახლანდელი მდგომარეობით და აქტიურად არ შეეცადა სრუტეების გახსნას. ზოგიერთი სახელმწიფო, და მათ რიცხვში ავსტრიაც, წინადადებას აძლევდა რუსეთს, თუ მოისურვებ, ამ საკითხს შენს სასარგებლოდ გადავსწყვეტთო; მაგრამ რუსეთმა უარჰყო ეს წინადადება. რა მოსაზრებითაო? —იკითხავთ. რუსეთი სრულს ნეიტრალიტეტს იცავს ბალკანეთის ომში და აძით ავსტრიასაც აიძულებს მშვიდობიანობის დაცვას, რაც აუცილებლად საჭირო და სასარგებლოა ბალკანეთის კავშირისათვის. საკმაო რუსეთმა მიიღოს ეს წინადადება, რომ ბალკანეთის კავშირს იმ წამსვე ხელიდან გამოსტაცებენ გამარჯვების ნაყოფს: შეჰქმნიან „დიდ ალბანეთს“, როგორც ასე ესაჭიროება ავსტრიასა და იტალიას; ამას გარდა ევროპის სხვა სახელმწიფოებიც სრუტეების სამაგიეროს მოითხოვენ რუსეთისაგან. არა! რუსეთი მაშინ აღძრავს სრუტეების საკითხს, როდესაც მისი გადაწყვეტა სლავიანების ინტერესებს აღარ იმსხვერპლებს“.

რუსეთი და რუმინია.

რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგიდან ბუქარესტს გაჰგზავნიან ძვირფას საჩუქრებს მეფე კარლოსის ამალისა და სამინისტროს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ იმ ზეიმში, როცა რუსეთის იმპერატორმა რუმინიის მეფეს რუსეთის ჯარის ფელდმარშლის კვერთხი გადასცა.

სტამბოლის მდგომარეობა.

პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ თუ ოსმალეთის მთავრობა არ აუკრძალავს მაჰმადიანთა სამღვდელოებას საღვთო ომის ქადაგებას ქრისტიანების წინააღმდეგ, დიდი სახელმწიფოების თანხმობით რუსეთი ჯარს შეიყვანს სტამბოლში.

საფრანგეთის კრეისერი

სტამბოლიდან ცნობაა, რომ ოსმალეთის მთავრობამ საფრანგეთის კრეისერს „ვიქტორ ჰიუგოს“ ნება დართო დარდანელის სრუტეში შესვლისაო.

დეპეშები

(დ პეშათა პეტერბ. სააგენტო)

30 იანვარი.

საზღვარ-გარედ

ვენა. რეიხსტაგის დეპუტატი შუმეერი სადგურზე მოჰკლა მუშამ, ხუნშაკუ. დიდიხნის წინად ხუნშაკუს მეოხებით ბევრი მუშა სამართალში იყო მიცემული. ამის გამო მუშათა ორგანიზაციებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ხუნშაკუს. ხუნშაკუ ადგილს ვერსად შოულობდა. აიღო და შური იძია შუმეიერზე, როგორც მუშათა მოთავეზე.

ბერნი. კავშირის საბჭომ სახელმწიფონი მოიწვია ბერნში ენკენისთვის კონფერენციაზე, რათა დადგენილი იყოს ახალი საერთაშორისო შეთანხმება მუშათა უბედურ შემთხვევისგან დაცვის საკითხში.

ტოკიო. პრემიერის კანდიდატმა საიონძიმ უარი განაცხადა პრემიერობაზე. კაბინეთის შედგენას მიანდობენ ადმირალ იამამოტოს. კაცურას მიერ დანიშნული პოლიციის პრეფექტი და დეპარტამენტის დირექტორი თანამდებობიდან გადასდგეს.

ოსაკში არეულობა მოხდა. აიკლეს კაცურას პოლიტიკის მომხრე რედაქცია.

მექსიკო. 29 იანვარს ქუჩებში 7 საათის განმავლობაში ბრძოლა იყო. დაკრილი და მოკლული ასობით არის.

ვაშინგტონი. ტაფტის თავმჯდომარეობით თათბირი მოხდა. თათბირმა დადგინა გაჰგზავნონ მექსიკის აღმოსავლეთ ნაპირზე სამი ჯავშნიანი გემი.

რუსეთი.

პეტერბურგი. ქალაქის უფროსმა 500 მ. დააჯარიმა „ბირჟ. ვედომოს,“ რედაქტორი და „ლუჩის“ რედაქტორს 3 თვის ციხე მიუსაჯა.

პეტერბურგი. საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარედ უმაღლესად დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზოლოტარევი. კომისიას ევალება ხოლმის საკითხის დარგში გააერთიანოს მთავრობის ზომები.

4 თებერვალს გარეშე საქმეთა სამინისტროში გაიხსნება კონფერენცია გერმანიასა და რუსეთ შორის სალიტერატურო-სამხატვრო კონვენციის შესაკრავად.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. 3 თებერვალს წარმოადგენენ „ახალ მოძღვრებას“, 7 თებერვალს—კ. მესხის საბეჭეფიოსად „ოტელლო“-ს, 10 თებერვალს იქნება იუბილე ბ. ალ.-მესხიშვილისა; გარდა ამისა მზადდება წარმოსადგენად „მეფე ლირი“, „რიჩარდ მე-III-მე“ და სხვანი.

სახალხო სახლი. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის გამგეობამ და სკ.-მოყ. თავიანთ უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტეს აირჩიონ დელეგატები, რათა პატივი სცენ ადრესით სახელოვან იუბილიარს ვლადიმერ სარდიონის ძეს ალექსი-ძესხიშვილს.

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. დღეს, საღამოს 8 საათზე, **ქართულ კულტურის მოყვარულთა** წრე საგულისხმო საღამოსა ჰმართავს, განსვენებულ პროფესორ ალ. ხახანაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. დ. კასრაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ხახანაშვილის ბიოგრაფია ტ მისი მეცნიერულ მოღვაწეობა“. ნიკ. ჩიგოგიძე: „ხახანაშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე“; გიორგი ყორდანია: „ხახანაშვილი, როგორც ადამიანი და მასწავლებელი“. ბოლოს წაიკითხავენ ლექსებს ხახანაშვილის შესახებ: აბაშელი, ახოსპირელი, გრიშაშვილი, ნ. ჩხეიკვაძე, ევდოშვილი, ლეონავა, ბალრაძე, თურდოსპირელი და ნინო დავითაშვილი. ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 5 კ.-დე. 5 იანვრისათვის აღებული ბილეთები დღეს გამოდგება.

ხარფუხის სახალხო წარმოდგენების სექციის გამგეობამ სთხოვა დრ. საზ. გამგეობას აღუკრძალოს კერძო პირთ წარმოდგენების მართვა, რომ ხარფუხის სცენის, მოყვარეთა წრეს, რომელიც დრამატ. საზოგადოების ხელმძღვანელობით მუშაობს, ხელს არ უშლიდნენ. დრ. საზ. გამგეობამ განიხილა მოხსენება ამ საქმის შესახებ და დაადგინა: ეთხოვოს ტფილისის პოლიციმეისტერს, რომ აღუკრძალოს კერძო პირთ ხალხის გამრყვნელ წარმოდგენებისა და გასართობების მართვა.

ნაძალადევის თეატრი. კვირას, 27 იანვარს, წარმოადგინეს დ. კლდიაშვილის 2 მოქ. პიესა „ირინეს ბედნირება“. ქ-ნ ქაჯაია, ირინეს როლში, კარგა იყო. სასიამოვნოა, რომ ჩქარ ლაპარაკს გადაჩვეულა. მშვენივრად დაახასიათა ბ-ნმა სვიმონიძემ გალაზღანდარავებული, გათამამებული და ქეიფის მოყვარე აბესალო სალამთაძე. კარგი იყო აგრეთვე ბ. სვანაძე (ფილიპე ბარბაქაძე). ბ. თევზაძე სუსტობდა.

შემდეგ წარმოადგინეს ორი ვოდევილი: „ოთხი იმერელი“ დ. მესხისა და „არც აქეთ, არც იქით“—ვ. გულიანი. პირველში, მშვენიერნი იყვნენ ბ-ნნი სვანაძე (ზალიკა), თევზაძე (მსახური ვასილა) და ძაძამია (ნიკოლოზა). ბ-ნ ომანიძეს (ტრიფონ) არა უშავდარა-რა. კარგი იქმნებოდა, რომ მკაფიოდ ელაპარაკნა.

მეორეში, მოხდენილის მოქმედებით, ბევრი აკინა დამსწრენი სვანაძემ (ტარას მშიერაძე). მშვენიერნი იყვნენ აგრედვე ბ-ნნი სვიმონიძე (სასტუმ. პატრ.), ძაძამია (იმერელი მსახური) და კანდელაკი (ანტ. ვარდყინჩაძე). ბ-ნი სადულიშვილი, ტახისამოაით, გრიმით, პარიკით და მოქმედებით ნამდვილი ტიპი იყო ურიისა.

მიშო.

ქ. ბათუმი. 26 იანვარს შმაევსკის თეატრში „მოგზაურის“ დასმა ვლ. ალ. - მესხიშვილის მოხაწილეობით **„ედმონდ კინი“** წარმოადგინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი სასიქადულო მსახიობის მესხიშვილის სახელმა საზოგადოება დიდ ძალი მოიზიდა, თეატრში ტევა აღარ იყო. პირველ მოქმედებამ ისე ჩაიარა, რომ თითქმის სცენიდან არა გვესმოდა-რა. სულ ერთმანეთს ეძახოდა საზოგადოება: „დასხედით ბატონებო, ქუდი მოიხადეთო“... ბევრისაგან გავიგონეთ: „ფულს ღებულობენ ეს „არტისტები“ და ადგილი კი არა გვაქვს დასაჯდომიო“... სრულებით მეტია აქ „არტისტებისადმი“ სამდურავი... აქ ყველა ძოვალეა წესიერობა დაიცვას და თავთავიანთი ადგილი დაიკიროს. ქართველები საზოგადოდ, სხვა ტომთა კრებებში, თუ საზოგადო საქმეებში სამაგალითო უნარს და შნოს ვიჩენთ ხოლმე წესიერობის დაცვაში—ჩვენში კი.—ამაზე არის ნათქვამი „შინაურს ბერს შენდობა არ აქვსო...

მოთამაშეთა შესახებ — რა თქმა უნდა ბ. მესხიშვილი დიდებული იყო და საზოგადოებამაც მრავლის ტაშის ცემით დააჯილდოვა და ბევრჯელ გამოიწვია საყვარელი მსახიობი...

კარგი და შესაფერი იყო ყალაბეგაშვილი (სოლომონ სუფლიორი). ცოცხლათ და ხალისიანათ შეასრულა წუწუნავამ (პისტოლ) თავისი როლი. ყველა დანარჩენებიც ხელს უწყობდენ საზოგადო ანსაბლს. წინა გასტროლის დროს მესხიშვილს თოკი ჩამოუწყდა ფრანცის როლში, როცა თავს იხრჩობდა. ახლაც როცა მეორეთ გამოიწვია საზოგადოებამ—ფარდის დასამაგრებელი უშველებელი რკინა ჩამოვარდა სცენაზე და კინალამ ერთი უბედურობა არ დატრიალდა.

შემდეგი მორიგი წარმოდგენა 2-ს თებერვალს იქნება. წარმოადგენენ ისტორ. პიესას **„ქართველი დედა“.**

ტრ. ი—ძე.

წერ. რედ. მიმართ

დიდ მადლობას ვუძღვნი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც თავის კრებაზედ, თანახმად ჩემი თხოვნისა, დაადგინა მომეცეს მე უფასოდ 23 მან. 70 კაპ. ქართული სახელმძღვანელოები დასარიგებლად იმ ქართველ-მაჰმადიან მოწაფეთათვის, რომელნიც სწავლობენ აწყვერის სამრევლო სკოლაში.

ახალციხის მაზრის სოფელ აწყვერის სამრევლო სკოლის გამგე

ე. ინასარიძე.

ბატონო რედაქტორო!

ექიმმა ნესტორ კლიმიაშვილმა, სამიწათ მოქმედო კომისიის სახელით გადმომცა ერთი ცალი წიგნი: „ფუტკარი და მეფუტკრეობა“, საყარაულოს სამინისტრო სკოლისათვის, რაზედაც ჩემს გულითად მადლობას ვუძღვნი.

საყარაულოში ეს მეორე წელიწადია, რაც სკოლა გაიხსნა. სწავლობენ მომეტებულ ნაწილად, ფშავლები და ხევსურები. იმედია, ჩვენს საზოგადოებაში აღმოჩნდებიან კეთილნი პირნი, და მოგვაწვდიან ჩვენი სკოლის ღარიბი მოწაფეებისათვის საჭირო წიგნებს.

საყარაულოს სამინისტრო სკოლის სამღვთო-რჯულის მასწავლებელი **მღვ. ნესტორ ბაკურაძე.**

დიდათ პატივცემ. ბ. რედაქტორო!

პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა ფილოლოგიური წრის გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ შეაძლებინოთ მას უღრმესი მადლობა გამოუცხადოს თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით: 1. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს, რომელმაც წრის წიგნთსაცავ-სამკითხველოს შემოსწირა თავისი გამოცემანი: „ძველი საქართველო“-ს ტ. I, „საქართველოს სიძველენის“ II ᲓᲐ III ტ.ტ., პალეოგრაფიული ალბომი და აგრეთვე ალუთქვა შემდეგშიც უგზავნოს სხვა დანარჩენი გამოცემანიც; 2. ამავე ინსტიტუტის სტუდენტს ალ. გადახაბაძეს, რომელმაც მის მიერ გამართული ექსკურსიიდან დარჩენილი ფულით შეიძინა წრისათვის 6 მ. და ორი შაურის წიგნები, სახელდობრ: ალ. ყაზბეგის თხზულებანი, ღირებული 3 მან. და 50 კაპ.; აკაკის თხზულებათა II ტ. 1 მ. მისივე „თორნიკე ერისთავი“—შვიდ შაურად; გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“—თოთხმეტ შაურად.; შიო არაგვისპირელის მეორე წიგნი—ორ აბაზად და დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ სამ შაურად.

გამგეობის თავმჯდომარე **გ. ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ.**
წიგნთსაცავ-სამკ. გამგე **მ. ᲐᲑᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

რედაქტორ-გამომცემელი
Ა. ᲭᲣᲛᲑᲐᲫᲔ.

განცხადებანი

დ. ზესტაფონში
ექიმი კბილისა ბაბილინა ცხადაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ
სამეოგიარო თავშესაფარი
Ე. Ლ. ᲐᲠᲨᲐᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს. Ს. ᲮᲐᲢᲘᲫᲔᲕᲘᲡᲐ
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება
სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრედვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე
ექიმი ბ. გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲝᲕᲘ.
ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 1018

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ
პირველი პერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ.
ᲓᲘᲚᲘᲗ:
„606“ ᲓᲐ „914“
11—12 ს. ᲨᲔᲛᲬᲘᲐᲕᲣᲠᲔᲑᲐ
ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.
Ო. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ᲐᲒᲐᲑᲐᲠᲝᲕᲘ: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
Კ. Მ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ: 9½—10 ს. თვალისა, შიგაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲘᲜᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
Ა. Გ. ᲙᲐᲠᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 12—1 ს. შინ: კანი აბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **Ე. Ნ. ᲐᲛᲑᲠᲣᲛᲝᲕᲐ-ᲛᲔᲚ ᲥᲘᲐᲜᲘ** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.
ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗᲘ:
მ. გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. ᲠᲔᲜᲘᲒᲔᲠ-ᲐᲠᲔᲨᲕᲘᲚᲘ 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა-ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
ს. „ᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ“ დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.** 1004

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘ
ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲐᲛᲓᲔ!
№ 4711
ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ ᲑᲠᲝᲚᲚᲘᲡ
=ᲡᲐᲞᲝᲜᲘ=
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.
ᲤᲔᲠᲓ. ᲛᲘᲣᲚᲖᲔᲜᲡᲘ.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.
დაარსებული 1792 წ.
ერთი ნაჭერი 25 კ ყველგან იშოვება.
Метцл. № 529935 529954 1019

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
ნ. ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲞᲘᲔᲡᲐ **„ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲐ“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
Ი. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐ
„ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲘ“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
ᲡᲐᲤᲝᲚᲘ ᲙᲠᲐᲝᲢᲔᲑᲘᲗ.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 43, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ᲢᲔᲚᲔᲤ. № 378.**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ:	ᲓᲘᲚᲘᲗ:
შინაგანი სნეულებანი. ბავშვთა მოზრდილ.	**ᲡᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘ**	8½—9½ ს.
	ᲒᲐᲖᲐᲖᲝᲕᲘ	10—11 ს.
	ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ	11—12 ს.
	ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐ	12—1 ს.
	ᲚᲝᲚᲝᲒᲔᲠᲘᲫᲔ	12½—1½ ს.
საფოსტ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘ:	**ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ**	11—12 ს.
	ᲛᲔᲚᲙᲝᲜᲘᲐᲜᲘ	12—1 ს.
	ᲯᲐᲨᲘ	9½—10½ ს.
საშარ-ᲓᲝᲡ და ᲥᲠᲝᲜ. ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘ.	**ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ**	11—12 ს.
ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘ. ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲓᲐ ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲝ.	**ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲨᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ**	11—12 ს.
	ᲚᲝᲚᲝᲒᲔᲠᲘᲫᲔ	12½—1½ ს.
ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘ. ᲥᲘᲠᲣᲠᲒ., ᲧᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲡ.	**ᲨᲢᲠᲔᲘᲮᲔᲠᲘ**	12 12½ ს.
ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘ.	**ᲨᲐᲠᲐᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ**	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“** და **„914“**, ყვავილი აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გაბინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝ
„ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ“
ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲙᲔᲗᲘᲚᲘ
ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ Ქ. ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲚᲘᲜᲓᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ
მოწყობილება ყოვლ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრედვე სოზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებებში ორ-ორი მილია 290/0 და 350 0, ცხელი და ცივი, გოგირდის სამრავლე საუკეთესო საშუალებანი ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მეკისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ ამბონიმენტები შეპირონ, ტელეფონი № 115. 16 4

Ქ. Ш. ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮ. ᲒᲐᲛ ᲡᲐᲯᲝᲒ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ
ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ:

აბაშიძე გრ.	ფ. 60 კ.	თამარიანი, გუგუნავასი	50 „
ბარათაშვილი ნ.	„ 40 „	ორბელიანი ვახტ.	60 „
ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. სახ. გამ.	1 მ.—	ორბელიანი გრ. რჩეული ლექს.	20 „
გურამიშვილი დ. „დავითიანი“	1 მ.—	სილოვანის ლექსები 1878—1894.	50 „
გურიელი მამია	1 მ.—	ცისკარი. რუხაძის ლექსები	25 „
განდეგილის ლექსებ.	— 50 „	შანშიაშვილი. შვების თავადი	60 „
დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ.	70 „	ქავქავაძე ალ. ლექსები	30 „
ერისთავი რაფ. წ. I	1 მ.—	ქავქავაძე ილ.	27 „
ევდოშვილი, ლექსები და პოემები	60 „	წერეთელი აკაკი ტ. I	1 მ.—
ვაჟა-ფშაველა	1 მ.—	— — ტ. II	1 მ.—
ვეფხის ტყაოსანი ქართველთა-შვილის გამოც.	10 მ. 65 „	— —ჩემი ნაწერ. ტ. 1	75
„ ქ. Ш. წ. კ. ს. გამ.	60 „	— — იგავ-არაკნი	50

ᲛᲘᲦᲘᲚᲔᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲔᲛᲝᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲝᲗᲒᲐᲜᲘ,
ᲥᲕᲘᲠᲘᲗᲘᲡ (ᲙᲘᲤᲝᲕ.) **ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ,**
ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ
ᲫᲛ. ᲙᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.
ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ Ქ., ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ Ს. № 9.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.
1131

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲨᲘ, ᲨᲣᲠᲒᲘᲔᲚᲘ,
ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲥᲔᲠᲩᲘᲡ
ᲡᲔᲚᲘᲢᲙᲔᲑᲘ,
და ყოველგვარი
ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲘ.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ᲟᲘᲢᲙᲐ), ორაგული, თარო ტარადანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მალაზიაში
ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲓᲦᲨᲘ, ᲨᲣᲠᲒᲘᲔᲚᲘ,
და ყოველგვარი
✦ ᲨᲐᲕᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ ✦

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.